

თანამედროვე ჰუმანისტური პედაგოგიკის მოდელირება

განათლების სოციოლოგიაში

მედია სალია

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ცხუმ-
აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა
და მეთოდოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-
თანამშრომელი
E-mail: saliamedeia@yahoo.com

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და
მეთოდოლოგიის ინსტიტუტმა*

აბსტრაქტი. მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე ქვეყანაში მიმდინარე სოციალურმა, ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა მოვლენებმა და შედეგად, ღირებულებათა გადაფასებითმა პროცესებმა განათლების სისტემა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა - ფუნდამენტურად შეცვალა მოქალაქეების ფსიქოლოგიური განწყობა, კულტუროლოგიურ-მსოფლმხედველობრივი ორიენტირები. ამით განპირობებულმა ჰუმანიზაციის დეფიციტმა, ერთის მხრივ, კონკურენტუნარიანი ახალი განათლებული თაობის აღზრდა, ხოლო მეორეს მხრივ, მათში ჰუმანიზმის, როგორც მოქალაქის სოციალური ქცევის უმთავრესი ფასეულობების ჩამოყალიბების უზრუნველყოფის აუცილებლობა გამოკვეთა. აქედან გამომდინარე, ძირითადი ამოცანაც ინფორმაციული საზოგადოების გამოწვევებისა და თანამედროვე საზოგადოების მზარდი დეჰუმანიზაციის ფონზე მოზარდი თაობისთვის ჰუმანიზმის აღზრდისა და მათთვის უმაღლესი სტანდარტების განათლების გადაცემის ხელშემწყობი მექანიზმების გამოვლენა გახდა, რაც ახალგაზრდა თაობის სოციალიზაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი აქტიური და ჰარმონიული ჩართულობის გარდაუვალი პირობაა.

საგანმანათლებლო სივრცე ქვეყანაში ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. სახელმწიფომ პრიმატად ჰუმანიზმის პრინციპები გამოაცხადა, განათლების მიზნადაც ჰუმანური ახალი თაობის კეთილშობილი საზოგადოებისათვის

მომზადება დაისახა. ზემოთ აღნიშნულმა პროცესებმა კი ჰუმანიზმის დეფიციტის წინაშე დაგვაცენა. პედაგოგიკის კანონებზე, პრინციპებსა და მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე აგებული მეთოდები და ტექნოლოგიები პოლიტიკურად და ეკონომიკურად, ზნეობრივად ორგანიზებული საზოგადოებების პერიოდებში აღწევდა თავის საქმიანობაში წარმატებებს. ამის დასტური რენესანსია! ამდენად, სოციოლოგია და, კერძოდ, განათლების სოციოლოგია (რომლის საფუძვლების შექმნაშიც პედაგოგიკურ გამოცდილებას დიდი წვლილი მიუძღვის) მეტი პასუხისმგებლობის წინაშე დადგნენ. ეს პასუხისმგებლობა კი, ჩვენი ღრმა რწმენით, პედაგოგიკურ მეცნიერებებთან თანამშრომლობაში უნდა განვითარდეს. სწორედ, ამის წარმოჩენის მცდელობაა მოცემული სტატია, რომელიც თანამედროვე ჰუმანიტური პედაგოგიკის განათლების სოციოლოგიაში მოდელირების მეცნიერული დასაბუთების მიზნით ჩატარებული მეცნიერული სოციოლოგიურ-პედაგოგიური კვლევების შედეგების ანალიზის მოკრძალებულ სახეს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: ჰუმანიზმი, ჰუმანური პედაგოგიკა, განათლების სოციოლოგია, მოდელირება, პედაგოგიკა, თანამშრომლობა.

„გსურთ აღმოფხვრათ დანაშაულებანი?
გაავრცელეთ ხალხში განათლება“.

ვიქტორ ჰიუგო

განათლების სისტემის გაუმჯობესებისათვის ზრუნვამ და სიახლეების ძიებამ გამოცდილებით გაამდიდრა პედაგოგიკური აზროვნება. ემპირიული პედაგოგიკისა და საგანმანათლებლო თეორიების კვეთაზე ჩამოყალიბებულმა ჰუმანიზმის უნივერსალურმა მსოფლმხედველობამ მომავალი თაობის აღზრდასათუთ, სათნოებრივად გარემოცული პედაგოგიკური პრინციპებისა და მიდგომებისკენ წარმართა.

ჰუმანური აღზრდა ანტიკური სამყაროდან მოყოლებული თავის უმაღლეს განვითარებას აღორძინების ეპოქაში ჰპოვებს, ხოლო რენესანსულმა საგანმანათლებლო სივრცემ, ფაქტობრივად, პედაგოგიკური იდილია დაამკვიდრა.

შესაბამისად, მრავალრიცხოვნი მოაზროვნეთა პლეადამ რენესანსის ეპოქაში ადამიანი ქვეყნიერების სრულქმნილ არსებად გამოაცხადა, ქმნადობის პროცესის ცენტრში განათავსა და ღირებულებათა უპირატეს საზომად დაასახელა.

ანტიკურობიდან მომდინარე „კალოკაგათია“ სულისა და სხეულის სიმშვენიერისა და სრულყოფილების, გონების ვარჯიშითა და ქცევით მართვის უნარის შერწყმის იდეით კლასიკურ, ზნემაღალ პრინციპებამდე ამაღლდა.

პედაგოგიკოს-ჰუმანისტები განსხვავებული ჰუმანისტური მიდგომებით, თეორიული განჭვრეტით პრაქტიკაში ახორციელებდნენ მთავარ მოვალეობად აღიარებულ მოზარდთა სულიერ დახვეწას, მათში ზნეობრივი ღირებულებების განმტკიცებას, რაც სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა.

აღიარებულია, რომ აღზარდო და ასწავლო ის, რაც ბავშვს ცხოვრებას გაუადვილებს, რა თქმა უნდა, თავისთავად ჰუმანურია. მამასადამე, ჰუმანურისტურ იდეებზე აგებული პედაგოგიკა ადამიანთა გაჰუმანურებას უწყობს ხელს. ჰუმანიზმი და მისი სულისკვეთებით აღზრდა საზოგადოებათა გამაკეთილშობილებელი და ცხოვრებისათვის ღირსეული თაობების მომზადებელია, რაც ყველა დროის თანადროულია, ყველა საზოგადოების მოთხოვნაა და ამდენად, სოციალური თვალსაზრისითაც აქტუალურია. ვფიქრობთ, დღეს აღიარებულ და დამკვიდრებულ თეორიებს ფესვმაგარ მუხად შეუდგებოდა პედაგოგიკის კლასიკოსთა ნააზრევი და საჭირო დახმარებასაც გაუწევდა თანამედროვე განათლების სისტემას როგორც ბრძენი მრჩეველი. „განათლების სოციოლოგიამ სწორედ პედაგოგიკასთან ერთად უნდა გადაწყვიტოს განათლების სისტემაში არსებული მრავალი პრობლემა“¹ - რთულია არ დაეთანხმო პროფესორ კ.ქეცბაიას ამ მოსაზრებას, რადგან განათლების პრობლემატიკა სცდება პედაგოგიკის სფეროებს და მისი წარმატების რეალური მაჩვენებელი უდავოდ სოციოლოგიურ მასშტაბებში უნდა იქნეს გააზრებული, რადგან ქვეყანას სჭირდება

¹ კ. ქეცბაია, განათლების სოციოლოგია, თბილისი, 2014 გვ. 28

მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე თაობა და არა მხოლოდ კონკრეტული დარგის სპეციალისტი. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ჰუმანური პედაგოგიკის მოდელირება, ჰუმანიზმისა და აღზრდის პრობლემატიკის კვლევა განათლების სოციოლოგიის ფარგლებში გაცილებით ნაყოფიერი უნდა იყოს. მოზარდებში ჰუმანური მსოფლმხედველობის ფორმირების პროცესის ახლებური ხედვა, რომელიც, ერთი მხრივ, პიროვნების სოციალიზაციის პროცესს, ჰუმანურობისა და დეჰუმანიზაციის მაჩვენებლებს, აგრეთვე თანამედროვე ჰუმანური პედაგოგიკის ფუნდამენტური იდეების განათლების სოციოლოგიაში ექსტრაპოლაციის მნიშვნელობის მეცნიერულ გააზრებას უკავშირდება, ხოლო მეორე მხრივ, ჰუმანური პედაგოგიკის სოციოლოგიური ორიენტირების სისტემატიზაციას გულისხმობს, სწორედ ამ მიმართულებით ახლ გზებსა და ტენდენციებს გამოკვეთს.

XX–XXI საუკუნეების მიჯნაზე ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა სრულად შეცვალა ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც, ბუნებრივია, მათ ღირებულებებზეც აისახა და აღიარებული ფასეულობების გადასინჯვის ფონზე ცხოვრების წესმაც გეზი იცვალა. მომხდარი პირდაპირ პროპორციულად აირეკლა საგანმანათლებლო სისტემაზე. მიუხედავად ამისა, წამყვან იდეად კვლავ ჰუმანიზმი გამოცხადდა. ვინაიდან გლობალურ მსოფლიოში ინტეგრირებისათვის ჰუმანიზმის პრინციპებზე აღზრდილი ინტერნაციონალური შეგნების თაობის მომზადება გახდა საჭირო. დასავლური და ამერიკული გამოცდილება თავის ცოდნა-გამოცდილებას გვთავაზობდა პრაგმატული უნარ-ჩვევებით აღჭურვილ თაობათა დემოკრატიული საზოგადოებისათვის მოსამზადებლად. საქართველოს სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობა უცხოეთში უკვე აპრობირებულ და დამკვიდრებულ თეორიებს დაექვემდებარა. სიახლეების მიღება-შესწავლა-გააზრებას პედაგოგთა, მოსწავლეთა და მშობელთა საზოგადოება სხვადასხვაგვარად შეხვდა. განსხვავებული იერი მიიღო სწავლა-განათლების, სკოლის, მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთობებმა, შეხედულებებმა, მოთხოვნებმა. მშობელთა უმეტესობამ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ მოიცალა შვილისთვის, რაც სხვადასხვაგვარად აისახა სხვადასხვა ოჯახზე. შეიცვალა მასწავლებლისა და

მოსწავლეების ურთიერთობები, სკოლამ შემოიღო კომუნიკაციის ახალი რეგულაციები, განისაზღვრა და დაწესდა მშობლებთან კომუნიკაციის სხვა ფორმები. ახალმა ვითარებამ განუსაზღვრელი მოთხოვნების წინაშე დააყენა მასწავლებელი, სკოლის მოხსენიება უკმაყოფილების გამომხატველ კონტექსტში გახშირდა, რამაც უკან დახია პედაგოგის ავტორიტეტი, ასეთი კი ბავშვმა ვერ აღიარა. საზოგადოების ნაწილმა განიძარცვა მანტია საკუთარი ეთიკური მოვალეობებისა განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი ბირთვის - სკოლისაგან, დაივიწყა უდიდესი ფორმულა ბავშვის ჰუმანური ფორმირებისა: სკოლა, ოჯახი, საზოგადოება-სოციალური გარემო, არ მოუფრთხილდა მისი ავტორიტეტის აღმზრდელობით დატვირთვას. დაივიწყა წარსულის მოაზროვნეთა სწრაფვა, ყოფილიყო საზოგადოებისგან ზნეობრივი ნიმუში ცხოვრების შეცნობისკენ მიმსწრაფი აღსაზრდელისათვის, ბავშვთა კეთილშობილად ჩამოყალიბებაც ხომ კაცთმოყვარე სოციალური აქტორის კაცთმოყვარეობის პრინციპებზე მდგომი სახელმწიფო მოხელის სრულყოფას ემსახურება! უძველესი დროიდან დახვეწილი, პედაგოგიური აზროვნების ნიმუშებიდან გაერთიანებული და თავისი ჭეშმარიტება - გამოცდილებით გამობრძმედილი პედაგოგიკური მეცნიერებები, რომელიც დიდ ინტელექტუალთა მხრებზე განვითარდა და არაერთხელ დაამტკიცა ამ სამთა ერთიანობის მარადიული გარდუვალობა, ჩრდილში აღმოჩნდა. უცხოელი თეორეტიკოსები ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის მკვლევრები და მათი კონცეფციები საფუძვლად დაედო სასწავლო-სააღმზრდელო სისტემას. თანამედროვე სასწავლო პროცესების თეორეტიკოსები ბ. ბლუმი, როჯერსი, დიუი, მასლოუ, მონტესორი და სხვები თავიანთი შეხედულებებითა და მოსაზრებებით დამკვიდრნენ საგანმანათლებლო პრაქტიკაში, მათი ერთობლიობით ახლებური ჰუმანისტური მიდგომებით გამრავალფეროვნდა პედაგოგიური პროცესიც. მაგრამ მაინც, ჰუმანური საზოგადოების მშენებელ სახელმწიფოში ჰუმანიზმის დეფიციტმა იჩინა თავი, რაც, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის აგრესიულობაში გამოვლინდა. მართალია, საერთაშორისო აღიარებებისაკენ ასპარეზი გაეხსნა განსაკუთრებით ნიჭიერ ახალგაზრდებს, მაგრამ საზოგადოებაში წარმოჩენილი სოციალური დისბალანსი, მტრული რეალური თუ ვირტუალური გარემო, საზოგადოებრივი სივრცის მზარდი დეჰუმანიზაცია მოზარდებში იწვევს უკმაყოფილებას, პროტესტის

გრძნობას, რაც წარმოაჩინა ჩვენს მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ. „უფროსებო, შეგვიქმენით ჰუმანური გარემო!“, - ასეთია ამონარიდი ერთ-ერთი სკოლის მოსწავლის მიერ შევსებული გამოკითვის ანკეტიდან.

საზოგადოებაში, რომელიც სოციოლოგიის ცოცხალი ნაწილია, განათლების სისტემის გაჯანსაღების აუცილებლობა დადგა. ზნეობრივ აღზრდაში ჰუმანურობის დეფიციტმა სოციალურ-საგანმანათლებლო სფეროში არსებულ პრობლემებზე მიუთითა. გამოიკვეთა ისტორიული წარსულიდან მოწყვეტილ წარმართული აღზრდის პროცესის არსებობა. ჰუმანისტური აღზრდის აქტუალურობა, რომლის ფესვები ანტიკური ხანიდან მომდინარეობს და პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერ-მკვლევართა დაუოკებელ ინტერესს წარმოადგენდა, ასეთად რჩება. ისტორიული კლასიკური მემკვიდრეობითობის პრინციპი, რომელიც განაპირობებს განათლების უწყვეტობას, პედაგოგიკასთან ერთად გაფერმკრთალდა. ჰუმანიზმის აღზრდის სფეროში დაგროვილი პედაგოგიური ცოდნა - გამოცდილების ანალიზი კი გვაძლევს მის ახალ თვისობრივ ხარისხში აყვანისა და აღზრდის ეფექტურობის გააზრების საშუალებას.

თანამედროვე საზოგადოების მზარდი დეჰუმანიზაციისა და პოლარიზაციის მიზეზები არაა მხოლოდ მიმდინარე ფორმაციული განვითარებისა და ტრანსფორმაციის შედეგი. საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის ნგრევას თითქოს გზა უნდა გაეხსნა საზოგადოებრივი კონსოლიდაციისა და ჰუმანიზმისათვის, თუმცა ტენდენციები საპირისპიროა. შესაბამისად, მოზარდ თაობაში სოციალური ქცევის უზოგადესი კატეგორიის - ჰუმანურობის დანერგვა აისახება როგორც პიროვნების, ასევე მისი საარსებო გარემოს - საზოგადოების ჰუმანურობაზე. ეს უკანასკნელი კი დიდწილად დაკავშირებულია სკოლასთან, პედაგოგთან და საერთო საგანმანათლებლო სისტემასთან.

მარად აქტუალური - ცოდნის გადაცემა და ქმედუნარიანი, ჯანსაღი, პროგრესული საზოგადოების ჩამომყალიბებელ განათლებულ თაობათა აღზრდა, მასში ადამიანებს შორის თანაცხოვრების პროცესის უზრუნველყოფა - რომლის დასტურად თავად ინფორმაციული ეპოქა, მისი „მამოძრავებელი ძალის“ მეცნიერული ცოდნისა და ინოვაციების განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა გამოდგება „ცოდნის საზოგადოებაში“, როგორადაც ხშირად მოიხსენიებენ მას,

ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს იმის სწორად გააზრებას, თუ რა და როგორ უნდა ვასწავლოთ, როგორ აღვზარდოთ კონკურენტუნარიანი თაობა, რომ მან უზრუნველყოს როგორც პროგრესი (ტექნოლოგიური თვალსაზრისით), ასევე შექმნას ეროვნული კულტუროლოგიური ნაკადი, როგორც ერის სულიერი მისიის, მისი მუხეფიერების ისტორიაში რეალიზაციის საშუალება.

თანამედროვე პოსტმოდერნულ ეპოქაში უდავოდ რთულია ტრადიციულ გამოწვევებთან ერთად საგანმანათლებლო სისტემის წინაშე წარმოქმნილი ახალი, შესაძლოა ითქვას „ჰიბრიდული“ ტიპის გამოწვევების გადაჭრა, რაშიც უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ „ქსელურ საზოგადოებაში“ გამოწვევების სისტემურობას, ინფორმაციული „ღიაობის“ მაღალი დონის პირობებში მისი მუტაციის უნარს, რაც ცნობილი ამერიკელი ფუტუროლოგის ე.ტოფლერის სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოებას აქცევს „კულტურული შოკის“ მდგომარეობაში. შექმნილი ვითარება ნათელყოფს იმ გარემოებას, რომ საგანმანათლებლო პროცესის სისტემური გააზრებისათვის საჭიროა გავაერთიანოთ პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის ტრადიციული სწავლებები და თანამედროვე ჰუმანური პედაგოგიკის მოდელირება მოვახდინოთ განათლების სოციოლოგიის ფარგლებში. შევეცადეთ, რომ ერთი მხრივ, მოგვხდინა უკვე არა იმდენად ზოგადად მოზარდის საზოგადოებრივ პროცესში ინტეგრაციის მექანიზმებზე აქცენტირება, არამედ საქართველოში მოზარდი პოლარიზაციისა და დეჰუმანიზაციის შემცირების მიზნით მოზარდი თაობის წარმატებული სოციალიზაცია არსებული საკაცობრიო გამოცდილების ანალიზის, პრაქტიკული და თეორიული მიდგომების გათვალისწინებით, მაგრამ არა ზოგადად საგანმანათლებლო-პედაგოგიკური სივრცის მოდელირება, რაც ვთვლით, რომ პრინციპული შეცდომაა, ვინაიდან ყველა საზოგადოებისა და საგანმანათლებლო პროცესის ყოვლის მომცველი სქემის შექმნა უბრალოდ შეუძლებელია, რადგანაც სწორედ ამ განზრახვას მივყავართ ეკლექტიზმთან და უტოპიურ თეორიებთან, არამედ საქართველოს ეროვნული სხეულის ინდივიდუალურობის გათვალისწინებით განგვეხილა მოზარდებში ჰუმანიზმის განვითარების პედაგოგიკური ფორმები და საშუალებები სოციალიზაციისათვის შესაბამისი დასკვნების გაკეთებისა და რეკომენდაციების შემუშავებისთვის.

დღევანდელ სინამდვილეში ჰუმანიზმი ჩამოყალიბდა როგორც საგანმანათლებლო-პედაგოგიკურ სისტემაში ინტეგრირებული ერთ-ერთი უნივერსალური მექანიზმი, რომელიც მოიცავს მოზარდის სოციალიზაციის პროცესისა თვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ პოსტმოდერნული საზოგადოებრივი წესრიგისათვის დამახასიათებელმა დიაობამ, სკოლისა და მასწავლებლის მოვალეობების დემოკრატიზირებამ, გარკვეულწილად ვალდებულებათა არასწორად გაგების ატმოსფერო შექმნა. ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი თავისუფლებისა და მათი უფლებების ზრდამ მოუთოკავ, გაუთვალისწინებელ ქმედებამდე მიიყვანა. სოციალური გარემო ხშირ შემთხვევაში „ქუჩური გარჩევის წესებში“ ითრევის მოზარდებს, რაც აგრესიულობასა და ზოგჯერ ფატალურ დასასრულს გვაძლევს. მართალია, მოზარდთა შორის არსებული პრობლემების კვლევასა და შესწავლაში მრავალი ორგანიზაციაა ჩართული, მაგრამ ჰუმანური აღზრდისადმი მიდგომების, ტექნოლოგიების, ფორმებისა და ეფექტური მექანიზმების დადგენისათვის საუკეთესო საშუალებად უშუალოდ მოზარდების აზრის სოციოლოგიური კვლევა შეიძლება იქნეს მიჩნეული.

მნიშვნელოვანი იყო ჩვენი კვლევების ფარგლებში, რომელიც ჩატარდა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის მიერ ქ. თბილისის რამდენიმე სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის (2014) და ქალაქების თბილისისა და რუსთავის (შერჩევითობის პრინციპით) უფროსკლასელებსა და რამდენიმე უნივერსიტეტის პირველკურსელებთან (2019-2021), ასევე აღნიშნული სფეროს მკვლევრების, დარგის სპეციალისტებისა და ექსპერტების აზრის შესწავლა. მოსწავლეებსა და სტუდენტებთან ჩატარებულმა კვლევებმა, მათ მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა, დაგვარწმუნა პრობლემის აქტუალობაში, მოგვცა მნიშვნელოვანი, პრაქტიკულად სასარგებლო ინფორმაცია პირველწყაროდან და შეგვიქმნა მეცნიერული დასკვნების გაკეთებისათვის აუცილებელი წინაპირობა. ხოლო რაც შეეხება დარგის სპეციალისტების ინტერვიუებებს, როგორც მოსალოდნელი იყო, პრობლემის აქტუალობის შესაბამისად მათი მეცნიერული ხედვები აღმოჩნდა უაღრესად

ფასეული ინდიკატორი, იმის ბარომეტრი, თუ რაზე გვმართებდა საგანგებო ყურადღების გამახვილება და შესაბამისი მეცნიერული დასკვნების გამოტანა.

ჰუმანიზმის პრინციპებითა და ჰუმანური იდეებით თაობების აღზრდა სახელმწიფოებრივი და გლობალური პრიორიტეტული მოთხოვნაა არა მარტო ჩვენთვის, არამედ მსოფლიოს ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოებისათვის. ადამიანთმოყვარეობისა და ადამიანთმსახურებისათვის უნარ-ჩვევათა ჩანერგვა ბავშვში ჰუმანიზმის აღზრდის მთავარი შემადგენელი ნაწილია. დღევანდელ სინამდვილეში ჰუმანიზმი ჩამოყალიბდა როგორც საგანმანათლებლო-პედაგოგიკურ სისტემაში ინტეგრირებული ერთ-ერთი უნივერსალური მექანიზმი, რომელიც მოიცავს მოზარდის სოციალიზაციის პროცესისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს.

განათლების სოციოლოგიამ დღის წესრიგში დააყენა ჰუმანურობის დეფიციტის პრობლემა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აჩვენა მისი უარყოფითი გავლენები ქვეყნის კულტურულ-დემოკრატიულ განვითარებასა და ღია საზოგადოების ფორმირების პროცესზე მაშინ, როცა „განვითარებული მსოფლიო საძირკველს უყრის გახსნილი სამყაროს ჰუმანისტურ იდეას, ადამიანის გონის უმაღლესი მიზნის გახორციელებას – მშვიდობიან, დემოკრატიულ, თანასწორობისა და თანამშრომლობის პრინციპებზე დაფუძნებულ ურთიერთკავშირებს ხალხთა და სახელმწიფოთა შორის“².

განათლების მხარდამჭერ ოფიციალურ სახელმწიფო დოკუმენტებში ნათლად არის ასახული პიროვნების სოციალიზაციის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი შეგნების, თანაცხოვრებისა და თანამშრომლობისათვის მომზადებულ თაობათა აღზრდის მნიშვნელობა და აუცილებლობა. სწორედ აქ იკვეთება სოციოლოგიისა და პედაგოგიკის გზები. სოციალიზაციის ცნება მოიცავს პიროვნების მრავალმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას სწავლა/სწავლების, აღზრდისა და განათლების გზით.

სოციოლოგიური კვლევის შედეგებმა მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ კვლევით მოპოვებული ემპირიული მასალების მეცნიერული ანალიზის შედეგების

² ბიბილეიშვილი ლ., ტულუში მ., სოციალური პედაგოგიკა, 2002, გვ. 3

განზოგადებისა და სისტემატიზაციის მეთოდების საფუძველზე გაგვეკეთებინა ობიექტური დასკვნა და ჩამოგვეყალიბებინა ადეკვატური რეკომენდაციები. ჰუმანური აღზრდის ეფექტურობის ამაღლების პედაგოგიური მეთოდები და აღზრდა სწავლა-სწავლების თანაზიარი მიზანმიმართული, დინამური, მრავალფუნქციური, მრავალშინაარსიანი, „ადამიანის გაადამიანურობისკენ“ გამიზნული მუდმივი პედაგოგიური პროცესია, „რომელიც ხელს უწყობს ბავშვის პიროვნების მაქსიმალურ განვითარებას, მის შესვლას თანამედროვე კულტურის კონტექსტში, საკუთარი ცხოვრების სუბიექტად ქმნადობას, მისი მოტივებისა და ფასეულობების ფორმირებას. ეს არის ტექნოლოგიების კომპლექსი, რომელიც ორიენტირებულია ბავშვის, პიროვნების ფორმირებაზე. აღზრდის ცნებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ბავშვის სოციალიზაცია, ე.ი. ბავშვებისა და მოზარდების მიერ მშობლიური კულტურის საფუძვლების დაუფლება, რაც რეგლამენტირებას უკეთებს სიკეთისა და ბოროტების, მოსაწონი და არმოსაწონი ქცევების, ცოდნის, ტრადიციებისა და ჩვეულებების ცნებებს“³. აღზრდის მიზანია ჩამოაყალიბოს გონებრივად, ზნეობრივად, ესთეტიკურად, შრომითი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ახალგაზრდა, „ჰუმანიზმი იქცა ადამიანური თავისუფლების დამცველად, ინდივიდუალური ბედნიერებისა და ინდივიდუალური თავისუფლების გზის მანათობელად“⁴.

ამდენად, ჰუმანურ პედაგოგიაზე აგებულ სასკოლო სისტემას მისი ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებლად სჭირდება თანადგომა როგორც პირველადი რგოლის - ოჯახის, ასევე მედიისა და მოზარდისათვის ინფორმაციის მიმწოდებელი სხვადასხვა საშუალებების მხრიდან. პირველი - ოჯახში ბავშვების „გაფეტიშება“, მშობლების მიერ ვითომ „უფლებებგაზრდილი“, სინამდვილეში კი აღზრდას მოკლებული შვილები ვერ ახერხებენ სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობებში ადაპტირებას, რაც ართულებს მათი წარმატებული სოციალიზაციის პროცესს. თავს იჩენს გაუცხოების, აგრესიულობის, ნიჰილიზმისა თუ სხვა დევიანტური მიდრეკილებები. მეორეც - თანამედროვე ინფორმაციული სიჭარბე და ღიაობა, ინტერნეტსივრცე, რომელიც აგრესიული, ძალადობრივი ინფორმაციებით აბრუებს

³ ჯინჯიხაძე ჯ., პედაგოგიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2017, გვ. 73

⁴ ბერიშვილი ჯ. კარანაძე თ., „იაკობ გოგებაშვილის ჰუმანიზმი“, 1992, გვ. 7

მოზარდებს, ნამდვილ გამოცდად იქცა, ვინაიდან მათი მყიფე ფასეულობათა სისტემა ვერ ახერხებს ინფორმაციულ „ვირუსთან“ ეფექტურ გამკლავებას და ცრუ ფასეულობების ტყვეობაში ექცევიან. ვინაიდან საზოგადოების ჰარმონიული განვითარება, მისი მდგრადობა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად განათლებული, ჰარმონიული და სრულყოფილი თაობის აღმზრდელი იქნება მისი საგანმანათლებლო სისტემა, საზოგადოებრივი ინსტიტუტები ვალდებული არიან თავიანთ საქმიანობაში გაითვალისწინონ მოზარდის ინტერესები და მჭიდროდ ითანამშრომლონ პედაგოგიკასთან, სოციოლოგიასთან და საგანმანათლებლო-აღმზრდელობით პროცესში ჩართულ სამეცნიერო დარგებთან.

ჩვენი დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ახალგაზრდა თაობის არა მარტო ახლებური პედაგოგიურ - აღმზრდელობითი ტექნოლოგიების გამოყენებით ჰუმანიზმის საკაცობრიო იდეალებით დაინტერესებას უნდა შევეცადოთ, არამედ მივაღწიოთ იმას, რომ მათ მთელი სისავსით შეძლონ ჰუმანურობის შინაგანი განცდა.

აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ:

- მოზარდებს უნდა დავანახოთ ჰუმანიზმის ცხოვრების წესთან დაკავშირებული როგორც სირთულეები, ასევე ღირსებები, რათა ობიექტური სინამდვილის ცოცხალ ჭვრეტაში შეიცნონ საკუთარი პიროვნული „მე“ და ყველა ის „ცოცხალი“ ცნება, რომლითაც ხდება სინამდვილის ფორმირება - სამშობლო, ერი, ენა, სარწმუნოება, ერის სულიერი მისია. ამ რთულ, მაგრამ უსაზღვროდ შემოქმედებით პროცესში იხსნება ფართო არეალი პედაგოგისათვის.
- აღმზრდელი უნდა დაეხმაროს აღსაზრდელს, რათა მან გონების თვალთ დაჰფაროს მანძილი წარსულსა და აწყმოს შორის, აღიქვას, ჩასწვდეს ჰუმანიზმის ბუნებას, აქციოს ის პიროვნული თავისუფლების, ცხოვრების ეგზისტენციური (ყოფიერების) და მეტაფიზიკური (საზრისისეული) განზომილებების შემაკავშირებელ ენერგიად.
- მოზარდისათვის ჰუმანიზმი უნდა იქცეს ცხოვრება-შემოქმედებითი საქმიანობისა და აზროვნების წესად, გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების კულტურად.

- რატომაა მნიშვნელოვანი მოზარდში განვითაროთ ჰუმანიზმის იდეალები? უმთავრესი, რაც წარმოაჩინა ჩვენ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგების ანალიზმა, არის მოზარდებში მსჯელობის არათანმიმდევრულობა და ფრაგმენტულობა ჰუმანიზმის გააზრებისას. ჰუმანიზმი ჯერაც არაა მათი ცხოვრებისეული არჩევანი, მათი ცხოვრების წესი და მსოფლმხედველობა. ამ მთლიანობის მიღწევის გარეშე მოზარდი თაობის შემდგომი სოციალიზაციის პროცესი იქნება არათანმიმდევრული. ვინაიდან ჰუმანიზმი მხოლოდ მაშინაა ქმედითი და საზოგადოებრივი გამოწვევების მიმართ მდგრადი, როდესაც მას ვაქცევთ ჩვენი მსოფლმხედველობრივი რწმენის ქვაკუთხედად, ღირებულებათა სისტემისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის განმსაზღვრელ ფაქტორად.
- კვლევის შედეგად გამოიკვეთა, ჰუმანიზმის პრაქტიკულ, „გამოყენებით“ მხარეებზე ყურადღების გამახვილებით, შეიძლება ჰუმანიზმის არამარტო შემეცნებითი, თეორიული თუ შემოქმედებითი მნიშვნელობის გახსნა, არამედ პრაქტიკულ, ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი ღირებულებების ჩვენება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი ვერ იქნება ცალმხრივი და თეორიულ მსჯელობას უნდა ამყარებდეს თავად ის სოციუმი, რომელშიც ინტეგრაციისათვის ვამზადებთ მოზარდებს.
- მოზარდი თაობის სოციალური სამყაროს ჰუმანიზაციის პროცესში, საგანმანათლებლო სისტემის პარალელურად, პირდაპირი თუ ირიბი წვლილი უნდა შეიტანოს თავად სახელმწიფომ, რომელიც ცალსახად უნდა გაემიჯნოს არაჰუმანურ რიტორიკას, იყოს არა დეპოლარიზაციის წყარო, არამედ მაინტეგრირებელი, საზოგადოების შემაკავშირებელი სულისკვეთების მატარებელი. თავისი სახელმწიფო პოლიტიკით წახალისოს კანონმორჩილი, ჰუმანური, ეროვნული სულისკვეთების მატარებელი მოქალაქეები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ უაღრესად აქტუალურია მოზარდი თაობის ჰუმანური აღზრდის პროცესი თანამედროვე გამოწვევების პარალელურად სისტემურად იქნეს გადააზრებული და, რაც

მთავარია, ჰუმანიზმის აღზრდა უნდა იქნეს დანახული არა მხოლოდ პედაგოგიკის, არამედ სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის, ეთიკის მეცნიერებების კვებაზე, რათა მათი კოოპერაციით, სწორად იქნეს გაანალიზებული როგორც მიზანი - მოზარდის სრულყოფილ მოქალაქედ ფორმირება, ასევე ამ მიზნისაკენ მიმავალი გზა - პიროვნების სოციალიზაციის პროცესი.

ლიტერატურა:

1. ქეცბაია კ., განათლების სოციოლოგია, თბილისი, 2014 გვ. 28
2. ბიბილეიშვილი ლ., ტულუში მ., სოციალური პედაგოგიკა, 2002, გვ. 3
3. ჯინჯიხაძე ჯ., პედაგოგიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2017, გვ. 73
4. ბერიშვილი ჯ., კარანაძე თ., იაკობ გოგებაშვილის ჰუმანიზმი, 1992, გვ. 7
5. ბერძენიშვილი ა. თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები. თბილისი, 2019
6. დიუი ჯ. სკოლა და საზოგადოება. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2013
7. სალია მ. „მასწავლებელი როგორც სოციალური აგენტი“, საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟ., „ფილოსოფიური ძიებანი“ ტ: # XXVIII თბ: 2024 წ. გვ. 298-310
8. სვანიძე ლ., სალია მ. „ბრბო, როგორც პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ-სოციოლოგიურ იურად არასრულფასოვან ადამიანთა ერთობა“, საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟ., „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, N 34, თბ., 2021, გვ. 95-102
9. სალია მ., „პედაგოგიური ეთიკა განათლების სოციოლოგიაში“, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ყოველწლიური საერთაშორისო რეფერი რებადი და რეცენზირებადი სამეცნ. შრომ. კრ., № XIX-XX, თბ., 2020, გვ. 293-300
10. ზაქარაია დ. პოსტინდუსტრიული-ინფორმაციული საზოგადოება. თბილისი, 2006
11. ქეცბაია კ. მაქს ვებერის ცხოვრება და შემოქმედება. თბილისი. 2017
12. შინჯიაშვილი თ., განათლების სოციოლოგია, თბილისი, 2019

13. სოროკინი პ. სოციოლოგიის შესავალი ყველასათვის. თბილისი: თარგმ. კ.ქეცბიამ, 2011
14. ხუბუა გ. პედაგოგია. თბილისი. 2009
15. კუტუბიძე ი., ქეცბაია კ. ინტერაქციული პროცესების სოციოლოგია, თბილისი: გამ. „უნივერსალი“, 2021
16. Антология гуманной педагогики. М.: изд.дом Ш. Амонашвили. სერიული გამოცემა

MODELING OF THE MODERN HUMANISTIC PEDAGOGICS IN EDUCATIONAL SOCIOLOGY

Medea Salia

Doctor of Social Sciences, Senior Researcher of the
Institute of Pedagogy and Methodology of the Tskhum-
Abkhazian Academy of Sciences
E-mail: saliamedea@yahoo.com

*Presented by the Institute of Pedagogy and Methodology of the Tskhum-Abkhazian
Academy of Sciences*

Abstract. Social, economic, political events taking place in the country on the cusp of the twentieth and twenty-first centuries and, as their consequence, the processes of reappraisal of values have faced the education system with new challenges – fundamental changed the psychological attitude and culturological and worldview orientations of citizens. The resulting deficit of humanization, on the one hand, revealed the need of nurturing a new competitive educated generation, and on the other hand, of ensuring the formation of humanism as the main value of social behavior of a citizen. Based on this fact, the main task was to identify mechanisms promoting the development of humanism in the rising generation and the transfer of education of the highest standards to them against the background of the information society challenges and the growing dehumanization of modern society, which is an indispensable condition for the socialization of the younger generation and its active and harmonious involvement into social life.

The education space of the country has faced new challenges. The government declared the primacy of the principles of humanism, and preparation of a humane new generation for a noble society was declared as the goal of education. The above-mentioned processes have led us to a deficit of humanism. Methods and technologies built on the laws, principles and methodological foundations of pedagogy, achieved success in their activities in periods of establishment of politically and economically, morally organized society. The Renaissance era is the best example of this. Thus, sociology and, in particular, the sociology of education (pedagogical experience plays a great role in creation of its principles) faced bigger responsibility. And this responsibility, in our earnest conviction, should develop in cooperation with pedagogical science. So, this article, which is a modest effort to analyze the results of scientific-sociological-pedagogical research conducted with the purpose of scientifically

substantiation of modeling of modern humanistic pedagogy and education sociology, is an attempt to demonstrate exactly this fact.

Keywords: *Humanism, humane pedagogics, education sociology, modeling, pedagogics, cooperation.*